

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია



სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის
სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

იანვარი
2018 წელი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
მისამართი: თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. № 7
ტელეფონი: (+995 32) 2923299; (+995 32) 2922632
ვებ-გვერდი: www.smr.gov.ge
ელ-ფოსტა: elisolomidze@yahoo.com

შესავალი	4
I. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.....	6
მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა	6
გენდერული მენსტრიმინგი	8
სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის	12
ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა.....	17
მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	21
II. თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა	24
სოციალური მობილობა	24
ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.....	27
III. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება.....	30
უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა.....	32
პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა	34
სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესების ხელშეწყობა.....	37
IV. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება.....	39
V. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.....	47

შესავალი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში “სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“¹ ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილ სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში განახორციელდა არაერთი პროექტი/პროგრამა და ღონისძიება, რომელიც ემსახურებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაზრდას/გაუმჯობესებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათი კულტურის მხარდაჭერას, ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფასა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას.

სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში გაიმართა გაფართოებული სხდომები, გასვლითი შეხვედრები, ასევე თემატური სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამალგებისა და მშობლიური ენების სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით, შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები.

კომისიაში წარმოდგენილ შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით მომზადდა 2016 წლის საქმიანობის შესრულების ანგარიში და 2017 წლის სამოქმედო გეგმა. მომზადებული დოკუმენტები წარედგინა მთავრობას, ასევე სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და სამოქალაქო სექტორს.

ამრიგად, 2017 წლის განმავლობაში გაგრძელდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესი; დაიგეგმა და განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები, რაც მიმართული იყო სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად:

- ❖ თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ❖ თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა;
- ❖ ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ❖ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა.

სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისია წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

¹ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 17 აგვისტოს №1740 განკარგულებით;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
- ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქ. ბათუმის მერია;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

2017 წელს სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა განახლდა და დაემატა შემდეგი უწყებები:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

წინამდებარე ანგარიში ასახავს სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში 2017 წლის სამოქმედო გეგმით განხორციელებულ ღონისძიებებს.

I. თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია, რაც თავის მხრივ გულისხმობს მათი წარმომადგენლობის გაუმჯობესებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

ზემოხსენებული სტრატეგიული მიზნის ფარგლებში დასახული ამოცანების შესრულების მიზნით სხვადასხვა სახელმწიფო უწყებამ განახორციელა პროექტები და ღონისძიებები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სამინისტროების, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ასევე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული საქმიანობა.

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა

ბოშების რეგისტრაცია

მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მათი ჩართულობის გასაძლიერებლად სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შექმნილია მცირერიცხოვანი და მოწყვლადი ეთნიკური ჯგუფების პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და ღონისძიებებს.

2017 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტრომ განაგრძო ბოშათა რეგისტრაციის პროცესი. გატარდა შესაბამისი პროცედურები დაბადების რეგისტრაციასთან, მოქალაქეობასთან და ასევე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით. კერძოდ, პროექტის „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირება და მოქალაქეობის არქონის

პრევენცია საქართველოში² ფარგლებში ბოშათა თემის 3 წარმომადგენლისათვის უზრუნველყოფილ იქნა საიდენტიფიკაციო მონაცემების მოწესრიგება და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა.

2011-2017 წლის სტატისტიკური მონაცემები ბოშათა რეგისტრაციის შესახებ

საქმისწარმოების კატეგორია	2011-2017
საქართველოს მოქალაქეობის მიღება	1
საქართველოს მოქალაქეობის დადგენა (ID ბარათი)	16
მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა	17
დაბადების ფაქტის დადგენა/რეგისტრაცია	39
ჯამი	73

ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის ორგანიზებით უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩატარდა რეგიონში მცხოვრებ ასურელ და ბოშა მოქალაქეებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში მცხოვრები ბოშათა თემის ჩართულობის უზრუნველყოფას. "სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის" ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავდა ინკლუზიურ პრინციპებზე დაფუძნებული აქტივობებით ბოშების მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას, საგანმანათლებლო სივრცეში ბოშათა ჩართულობის

² პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი“-ს მიერ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) ფინანსური მხარდაჭერითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობით.

ხელშეწყობას, რის შედეგადაც საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 200-ზე მეტი ბოშა მოზარდი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაიგეგმა კითხვისა და თეატრის კლუბები, მომზადდა სპექტაკლები და საკონფერენციო პრეზენტაციები ბოშების კულტურისა და თვითმყოფადობის შესახებ. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისა და სოციალიზაციის მიზნით განხორციელდა არაერთი პროექტი³, რომლის შედეგადაც დასაქმდა 3 ბოშა. არაფორმალური განათლების გზით ხელი შეეწყო საგანმანათლებლო გარემოში სასკოლო ასაკის ბოშების მოზიდვას.

2017 წლის განმავლობაში გაგრძელდა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენების სწავლება (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური, უდიური, ასურული);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფუნქციონირებს ბალტიისპირა ქვეყნების (კერძოდ ლატვიის) საკვირაო სკოლა, სადაც 2017 წლის დეკემბრიდან მსურველებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ ლატვიური ენა (15 მსმენელი).

გენდერული მენისტრინგი

2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში ჩართულმა სახელმწიფო უწყებებმა განაგრძეს კონკრეტული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული ნიშნით უთანასწორობის აღმოფხვრას, ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობას, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერასა და წახალისებას.

აღსანიშნავია, რომ სტამბულის კონვენციის სარატიფიკაციოდ 2017 წლის დასაწყისში იუსტიციის სამინისტროს მიერ ჯერ საქართველოს მთავრობას, შემდეგ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. ცვლილება შეეხო 25-მდე საკანონმდებლო აქტს.

იუსტიციის სამინისტრომ საკანონმდებლო პაკეტის ინიცირების პარალელურად 2017 წლის დასაწყისიდან წამოიწყო სოციალური კამპანია **#იმოქმედე**. კამპანიის მიზანია საზოგადოების ინფორმირება და ძალადობის წინააღმდეგ გააქტიურება. კამპანიის მიზნების მისაღწევად გამოიკვეთა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებულ სამართლებრივ საშუალებებზე ტრენინგების ჩატარების საჭიროება. ტრენინგები დაიგეგმა საქართველოს მასშტაბით (67 ლოკაციაზე), ყველა იმ ქალაქსა და სოფელში, სადაც არის იუსტიციის სახლები (18) ან საზოგადოებრივი ცენტრები (48)⁴.

³ „ხელსაყრელი გარემო თანაბარი შესაძლებლობებისთვის“; „შინაარსიანად გავატაროთ თავისუფალი დრო“.

⁴ ტრენინგების მიმდინარეობის დროს გაიხსნა 4 საზოგადოებრივი ცენტრი (ზეინდარი, კონხარი, მეორე სვირი, ბაკურიანი), რომლებიც ტრენინგების განრიგს დაემატა ოქტომბრის შუა რიცხვებში.

1 მაისიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში სპეციალურად მომზადებული სასწავლო მოდულის გამოყენებით ტრენინგი ჩატარდა 78 ჯგუფისთვის, რომელსაც დაესწრო 886 დაინტერესებული პირი. ტრენინგი ჩატარდა 48 საზოგადოებრივ ცენტრში (418 მონაწილე).

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და მიმღებლობის გაზრდის მიზნით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში ტრენინგი განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. სასწავლო მოდული ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ტრენინგი ჩატარდა აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისთვის მარნეულში, კაბალში, იორმულანლოსა და სადახლოში, ხოლო სომხურენოვანი მოსახლეობისთვის ახალციხეში, ბარალეთში, კუმურდოსა და ფოკაში.

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა „TOT“ (ტრენინგები ტრენერებისთვის) ტრენინგები ჩაუტარეს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს ნინოწმინდის, ახალქალაქისა და ახალციხის რაიონებიდან. ტრენინგის თემა იყო გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მიმართ ძალადობა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გენდერული თანასწორობის საკითხებთან მიმართებაში განახორციელა ცნობიერების ამაღლების კამპანია. ჩატარდა შეხვედრები, სადაც ყურადღება გამახვილდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა უფლებების დაცვის, მათი საჭიროებების განსაზღვრისა და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან პარტნიორობით განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისათვის“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ადრეული ქორწინების შედეგებისა და ოჯახში ძალადობის შესახებ. პირველ ეტაპზე, მოხალისე თანატოლგანმანათლებლებმა ოჯახში ძალადობის თემაზე ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 61 სოფელში 103 შეხვედრა ჩატარეს. პროექტის მეორე ეტაპზე კი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების 33 სოფელში გაიმართა 66 შეხვედრა ადრეული ქორწინების შესახებ. შეხვედრები ჩატარდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან - მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, თემის ლიდერებთან. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები ჩატარდა სახელმწიფო ენაზე, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე ენად გამოიყენებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მშობლიური ენა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პროექტის - „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ - ფარგლებში ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა ბროშურები (50000 ცალი), სტიკერი (300 ცალი) და კალენდარი (300 ცალი), რომელზეც განთავსებული იყო ძალადობის საწინააღმდეგო გზავნილი და ცხელი ხაზის ნომერი (116 006). მომზადებული მასალები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებთან და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებთან თანამშრომლობით გავრცელდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) მხარდაჭერით უზრუნველყო ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ცხელი ხაზის მეშვეობით შესაძლებელია კონსულტაციის მიღება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის საკითხებზე. ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა ქართული ენის გარდა უზრუნველყოფილია დამატებით 7 (ინგლისურ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, არაბულ და სპარსულ) ენაზე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შეხვდა ეთნიკურად აზერბაიჯანელ, სომეხ და ქართველ პედაგოგ ქალებს, რომლებიც ქვემო ქართლის რეგიონში არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენას ასწავლიან. შეხვედრაზე დისკუსია გაიმართა ქალთა ჩართულობის მნიშვნელობაზე, შეხვედრის მონაწილეთა მუშაობის სპეციფიკაზე, გამოწვევებსა და წარმატებებზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულმა ააიპ „ქალთა უფლებები სათემო ინიციატივამ“ ჩაატარა ტრენინგი გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია მხარს უჭერს გენდერული თანასწორობისა და ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპების ინტეგრირებას, რომელიც ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით. ეროვნული თავდაცვის აკადემიის, როგორც საბაკალავრო, ისე საკარიერო სკოლების სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლებში ჩარიცხულ ყოველ ახალ ნაკადს, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენლებს უტარდება სწავლებები თემაზე: „გენდერული თანასწორობის პრინციპები და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები“.

2017 წლის განმავლობაში შეფასებითი ლექცია გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ჩატარდა IV კურსის 84 იუნკერს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. ხოლო,

2016-2017 სასწავლო წელს ჩატარდა ორ საათიანი ტრენინგი „გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების“ შესახებ.

ქვემო ქართლის რეგიონში აქტიური საქმიანობა განაგრძო „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში შექმნილმა „ქალთა ოთახებმა“. ზემოაღნიშნული მუნიციპალური მომსახურება ფუნქციონირებს რეგიონის შვიდივე მუნიციპალიტეტში, რომლის მიზანია ქალებისათვის საინტერესო, საჭირო ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ მათი ჩართულობის ხელშეწყობისათვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

რეგიონის მასშტაბით „ქალთა ოთახების“ ფარგლებში, წლის განმავლობაში გაიმართა 168 შეხვედრა, ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორცაა: ადრეული ქორწინება, ოჯახში ძალადობა, გენდერული თანასწორობა და სხვა.

- ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგ-კურსები: ადამიანის უფლებათა დაცვის, მცირე და მიკრო ბიზნესის განვითარების, კომუნიკაციის, ლიდერობის, ბიზნესის განვითარების და სხვ., რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები.
- „ქალთა ოთახების“ საქმიანობის ფარგლებში უფასო სამედიცინო კვლევებით და კონსულტაციებით ისარგებლა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 400-მდე ქალმა;
- პროგრამაში „აწარმოე საქართველოში“ დარეგისტრირდა 19 ქალი (მარნეული-10; თეთრიწყარო-5, წალკა-4).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს „ქალთა ოთახები“, რომელთა ინიციატივით და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება ქალთა აქტიურობის გაზრდისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით. მოეწყო შეხვედრები ფერმერ ქალებთან, მეწარმე ქალებთან, აგრეთვე ჩატარდა ტრენინგები მიგრანტების სარეინტეგრაციო პროგრამის გაცნობის, სკრინინგ პროგრამის, ოჯახური ძალადობის, ტრეფიკინგის, ადრეული ქორწინების პრევენციის, ქალთა პილიტიკური აქტივობის გაზრდის და ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარების საკითხებზე;

„მშვიდობის კორპუსის“ წარმომადგენელთა დახმარებით „ქალთა ოთახებთან“ ფუნქციონირებს ინგლისური ენის სწავლების კურსები.

წლის განმავლობაში „ქალთა ოთახები“ აქტიურად იყვნენ ჩართულები გენდერის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ აქტივობებში, რომელთაგან აღსანიშნავია ფერმერ ქალთა ასოციაცია „MERSY CORPS, IOM, ასოციაცია „ქალი და განვითარება“, „კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი“, საინფორმაციო ცენტრი „ინფორმაცია ქალებისათვის და არა ქალებისათვის“, USAID, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი და სხვა.

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით ახალციხეში გაიმართა კინფერენცია თემაზე „საქართველოში თანასწორი შესაძლებლობების გაძლიერება“, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლები. აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტებმა 2018 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინეს „ქალთა ოთახების“ ღონისძიებების დაფინანსების კომპონენტი.

2017 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სოფლად მცხოვრები მოქალაქეების სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერების მიზნით გაფორმდა მემორანდუმი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციასა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერს“-ს და „მერსი კორფსი“-ს შორის, **კახეთის რეგიონის** მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახი“-ს დანერგვის თაობაზე.

კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით კაბალის საზოგადოებრივ ცენტრში გაიმართა ტრენინგი თემაზე: გენდერი, მრავალფეროვნება – სტერეოტიპები, ეთნოცენტრიზმი და იდენტობა. შეხვედრა განხორციელდა კაბალის ახალგაზრდული ცენტრის პროგრამის ფარგლებში. ტრენინგს ესწრებოდნენ ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები (40 მონაწილე).

სახელმწიფო ადმინისტრირების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაზრდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლი ახალგაზრდების ჩართულობის გაუმჯობესება

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლი ახალგაზრდების დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესებისა და საბოლოო ჯამში, მათი ჩართულობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით, განახორციელა სტაჟირების საპილოტე პროგრამა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო (1+4) პროგრამით“ მოსარგებლე პირებისათვის. პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები კონკურსის საფუძველზე ჩაერთვნენ სტაჟირების პროცესში. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ უზრუნველყო სტაჟირების შერჩევა შეფასების დადგენილი კრიტერიუმებით. „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის“ ეფექტურად განხორციელების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის წევრი უწყებების კეთილი ნების საფუძველზე, 65-მა წარმატებულმა აპლიკანტმა სამთვიანი სტაჟირება გაიარა 20 უწყებაში, მათ შორის საჯარო სტრუქტურებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, 2017 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში. კერძოდ, განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა“ შესაძლებლობა მიეცემათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.

ეთნიკური უმცირესობების 5 წარმომადგენელს (სომეხი, რუსი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი, ასირიელი) შესაძლებლობა მიეცა გაეველოთ 3 თვიანი სტაჟირება **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში**.

2017 წლის განმავლობაში **სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის** ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართებზე რეაგირება ხდებოდა კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით. საანგარიშო პერიოდში გუბერნატორის ადმინისტრაციას დახმარების/კონსულტაციის მიზნით მიმართა 425-მა მოქალაქემ, აქედან 138 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა. მოქალაქეების თხოვნა შეეხებოდა მიწებისა და საცხოვრებელი ფართების პრივატიზების, საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოებზე ფინანსური დახმარების, სამეზობლო დავებისა და სხვა საკითხებს. სამასალე მერქნის გამოყოფის თაობაზე ნებართვა მიეცა ეთნიკური უმცირესობების 167 წარმომადგენელს.

მხარის ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში მოქმედებს „ერთი ფანჯრის პრინციპი“; საჭიროების შემთხვევაში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ხვდებიან შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებს. ადმინისტრაციაში, ასევე ფუნქციონირებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის და რეკომენდაციებს წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა 212 ფიზიკური პირის განცხდება, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების 58 წარმომადგენლის, რომელთაგან დაკმაყოფილდა 45-ის მოთხოვნა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოქალაქეებს არ შექმნიათ დაბრკოლება ენობრივი ბარიერის გამო, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდა მათთვის გასაგებ ენებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საჯარო მოხელეებს კი,

საჭიროების შეთხვევაში ეძლეოდათ შესაბამისი ზეპირი განმარტებები მშობლიურ ან მათთვის გასაგებ ენებზე.

2017 წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. შესაბამის თემატურ სამუშაო ჯგუფებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფდა სომხურენოვანი თარჯიმანი.

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში 2016 წლის 6 სექტემბერს, გუბერნატორის №61 განკარგულების საფუძველზე **ქვემო ქართლის რეგიონში** შეიქმნა ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემატიკის შესახებ სათათბირო საბჭო. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული საბჭოს ეგიდით რეგიონში ჩატარდა 6 სხდომა. სხდომებში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო სექტორის, მედიის, ცენტრალური ხელისუფლების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. სხდომებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა სასმელი და სარწყავი წყალით უზრუნველყოფა, გარე განათება, სკოლამდელი დაწესებულებების საჭიროება, სოფლად მცხოვრები ქალების დასაქმება ეკონომიკური გაძლიერება, სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობა, ქალთა პოლიტიკური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **კახეთის რეგიონში** გაიმართა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების საბჭოს ორი სხდომა. აღნიშნული საბჭოს მიზანია რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება, მათი ინტერესების გათვალისწინება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროექტების, პროგრამების, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას და სხვა. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა განიხილეს რეგიონში სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში არსებული გამოწვევები (ინფრასტრუქტურული პრობლემები, სახელმწიფო ენის სწავლება, სოციალური დახმარება და სხვა.) და იმსჯელეს ამ მიმართულებით დაგეგმილ კონკრეტულ საქმიანობებზე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიური საქმიანობა განაგრძო **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან** არსებულმა ეთნიკურ უმცირესობათა საბჭომ. ინტენსიურ რეჟიმში იმართებოდა საბჭოს სხდომები, სადაც განიხილებოდა სხვადასხვა პრობლემური საკითხები მათი მოგვარების მიზნით. საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა ქ. თბილისის მერიასთან, საკრებულოსთან და თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობებთან.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განახორციელა - „ახალგაზრდობის კეთილდღეობის ზრდისა და განვითარების მხარდაჭერის პროექტი ადგილობრივ

თვითმმართველობებში ახალგაზრდული სამსახურების გაძლიერების გზით⁵. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული სამსახურების გაძლიერება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შექმნას.

პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა) გადამზადდა 75 ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი. გრძელდება საპილოტე ჯგუფთან (21 მუნიციპალიტეტი) მუნიციპალური ახალგაზრდული კოორდინატორის სამუშაოს აღწერილობის პროფესიული სტანდარტისა და მომზადების პროგრამის დანერგვა/შეფასების პროცესი.

საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის უშუალო ჩართულობითა და ორგანიზებით გაგრძელდა საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. კერძოდ:

- ❖ საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და დისკუსიები ევროინტეგრაციის პროცესის თაობაზე, კერძოდ: უვიზო მიმოსვლის, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის კუთხით სოფლის მეურნეობის იმ შესაძლებლობების, სარგებელისა და პერსპექტივების შესახებ, რაც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი). შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, ფერმერები და მეწარმეები. შეხვედრებზე ყურადღება გამახვილდა, ასევე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციაზე.
- ❖ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩების“ განხორციელება. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ეთნიკური უმცირესობების

⁵ პროექტი განხორციელდა საერთაშორისო ორგანიზაციების - WORLD VISION-საქართველოს და USAID-ის პროექტის - „ზრდა“ ფინანსური მხარდაჭერით.

წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენებზე.

პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდებისგან შემდგარმა მობილურმა ჯგუფმა, რომლებმაც გაიარეს სპეციალურად მათთვის დაგეგმილი თემატური სკოლა, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების 5 სოფელში ჩაატარეს 8 საინფორმაციო შეხვედრა, გავრცელდა შესაბამისი მასალები⁶.

ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადდა და გავრცელდა მასალები უვიზო მიმოსვლის შესახებ.

სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თხუთმეტივე პენიტენციურ დაწესებულებაში ხელმისაწვდომია ბროშურები ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ხუთ ენაზე (რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, თურქული და ინგლისური). საანგარიშო პერიოდისათვის დაიბეჭდა შინაპატიმრობისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ პოსტერები აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრების მნიშვნელოვან ფუნქციას სერვისებზე ხელმისაწვდომობასთან ერთად, სოფლად სამოქალაქო ჩართულობის სტიმულირება წარმოადგენს. შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ცენტრების შეხვედრების ოთახებში ჩატარდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო, შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები, ტრენინგები და სემინარები; მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების უფლებების, გენდერული თანასწორობის, ადრეული ქორწინების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მიგრაციის, ტრეფიკინგის, ევროინტეგრაციის და უვიზო მიმოსვლის, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის საკითხებზე. მითითებულ პერიოდში ზემოჩამოთვლილ საზოგადოებრივ ცენტრებში გამართულ 375-მდე შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 5300-მდე ადამიანი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაიმართა შეხვედრა დიასპორების წარმომადგენლებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია სოციალური სერვისებისა და მუნიციპალური პროგრამების შესახებ. ასევე, კოორდინაცია გაეწია ეთნიკურ უმცირესობების შეხვედრებს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან.

⁶ პროექტი განხორციელდა სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრისა“ და საქართველოს გაცემის ასოციაციის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) მიერ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) აქტიურად განაგრძობდა საქმიანობას. განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის⁷, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ ცესკომ მოამზადა სპეციალური ვიდეო რგოლი, რომელიც ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- ❖ 2017 წლის არჩევნებისთვის მომზადდა 14 საინფორმაციო ვიდეო-რგოლი, მათ შორის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და განთავსდა რეგიონული ტელევიზიების ეთერში;
- ❖ სომხურენოვან გაზეთ „ვრასტანსა“ და აზერბაიჯანულენოვან გაზეთ „გურჯისტანში“ გამოქვეყნდა ხელმისაწვდომი სერვისებისა და კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ხმის მიცემის პროცედურების შესახებ ინფორმაცია;
- ❖ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში ამომრჩევლებს ინფორმაციის მიღება შეეძლოთ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ოპერატორებისგან, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას. დასაქმებული იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 4 ოპერატორი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ

ინფორმირების კამპანია - „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“

2017 წლის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, პირველად განხორციელდა პროექტი „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“.

⁷ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები.

- ❖ პროექტის პირველ ეტაპზე გაიმართა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში – 347 შეხვედრა, ხოლო 73 საოლქო საარჩევნო კომისიებში – 103 საჯარო შეხვედრა „ამომრჩევლის დღე“.
- ❖ პროექტის მეორე ეტაპი „იპოვე შენი თავი – იპოვე შენი უბანი“ განხორციელდა საარჩევნო პერიოდში, რომლის ფარგლებშიც ამომრჩევლებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით⁸ ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი მონაცემების გადამოწმება განახორციელეს. ასევე მათ დაურიგდათ საინფორმაციო ბროშურები. ცესკოს მიერ შეთავაზებული მომსახურებით ისარგებლა 667 124-მა ამომრჩეველმა.
- ❖ პროექტის მესამე ეტაპის - „მოდის არჩევნებზე“ - დროს გავრცელდა საარჩევნო პროცედურების ამსახველი საინფორმაციო ბროშურები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ პროექტი საქართველოს მასშტაბით მუნიციპალურ ცენტრებსა და სოფლებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში განხორციელდა.

2017 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციამ და ცესკოსთან არსებულმა სწავლების ცენტრმა განახორციელეს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტები. კერძოდ:

- ❖ პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“ - განხორციელდა 23 მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 3 მუნიციპალიტეტში. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაცია, სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ტრენერის უნარ-ჩვევების განვითარება და საარჩევნო ადმინისტრაციაში დაგროვილი ცოდნის გაზიარების გზით დამატებითი ადამიანური რესურსის შექმნა. აღსანიშნავია, რომ პროექტი პირველად განხორციელდა ახმეტაში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. პროექტში მონაწილეობა მიიღო 18-24 წლამდე 453-მა ახალგაზრდამ;
- ❖ პროექტი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განხორციელდა 68 მუნიციპალიტეტის 93 საჯარო სკოლაში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა. სასწავლო კურსი გაიარა XI – XII კლასის 1 645-მა მოსწავლემ;
- ❖ პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ განხორციელდა საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტებში. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საარჩევნო

⁸ ცესკოს ვებგვერდი - voters.cec.gov.ge; Android და iOS ოპერაციული სისტემა; სწრაფი გადახდის ტერმინალები - NOVA, TBC; პლანშეტი.

ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების ხელშეწყობა. სასწავლო კურსი გაიარა 18 წლის ასაკიდან 5 247-მა მონაწილემ.

- ❖ **სასწავლო კურსი „საარჩევნო სამართლის დარგში“** მიზნად ისახავდა სტუდენტების მიერ აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართალში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას. სწავლება განხორციელდა 10 უნივერსიტეტში და მონაწილეობა მიიღო 426-მა სტუდენტმა, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმნა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნების პროცესისათვის⁹, სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაცია:

- ❖ საარჩევნო ბიულეტენი (ქართულ-სომხურ, ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე); კედელზე გასაკრავი ამომრჩეველთა ერთიანი სია და სამაგიდო და ამომრჩევლის სამახსოვრო „ხმის მიცემის ამსახველი პროცედურები“ (ქართულ-სომხურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე);
- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და გავრცელდა სხვადასხვა საინფორმაციო მასალა;
- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე პირველად ითარგმნა ცესკოს შემდეგი დადგენილებები: „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენისა და რეგისტრაციის პროცედურების აღმწერი ინსტრუქცია“ და „მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისათვის საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი მერობის/საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის თაობაზე“¹⁰;
- ❖ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა შემდეგი დოკუმენტაცია: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია; საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია; ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციები; საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის უფლებამოსილებანი კენჭისყრის დღეს;

⁹ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისათვის, 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილი იყო 3 644 საარჩევნო უბანი, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებით კომპაქტურად დასახლებულ 12 საარჩევნო ოლქში - 345 საარჩევნო უბანი. აქედან, ქართულ-აზერბაიჯანული 208 უბანი, ქართულ-სომხური 133 უბანი და ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული 4 უბანი.

¹⁰ ცესკოს 2017 წლის 21 აგვისტოს №30/2017 და №31/2017 დადგენილებები.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები; საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციები; გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრის ფუნქციები.

- ❖ **სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სუბტიტრები მომზადდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმისათვის - „კენჭისყრის დღის პროცედურები“.**

მცირე გრანტების გაცემა სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ეთნიკურ უმცირესობათა თემებისათვის - არჩევნების მნიშვნელობისა შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით“

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის, ცესკოს მიერ განისაზღვრა საგრანტო კონკურსის დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებები. ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობის ხელშეწყობა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროცესში. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა დააფინანსა 8 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი¹¹. პროექტები სრულად მოიცავდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს. პროექტების საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 181 568 ლარი.

ეთნიკური უმცირესობებს მიკუთვნებული საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა მომზადება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის არჩევნებისთვის, საქართველოს მასშტაბით, ტრენინგები ჩაუტარდა საუბნო საარჩევნო კომისიის 47 259 წევრს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ 2 782 წევრს¹².

საუბნო საარჩევნო კომისიების სომხურენოვანმა და აზერბაიჯანულენოვანმა წევრებმა გაიარეს ინტენსიური სასწავლო კურსი. ტრენინგების I ეტაპზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესთან დაკავშირებით. ტრენინგების II ეტაპი დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. ტრენინგების III ეტაპი დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) სწავლებას. ტრენინგების IV ეტაპზე საუბნო საარჩევნო

¹¹ დაფინანსებული პროექტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [დანართი 1](#)-ში.

¹² აქედან, აზერბაიჯანელი – 1 374, სომეხი – 1 368, რუსი – 19, ავარიელი – 12, ოსი – 8, უკრაინელი – 1.

კომისიების წევრებს ჩაუტარდათ სიმულაციური სწავლება კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირების ფორმატში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობას. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან - „ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“ – NIMD - (Netherlands Institution for Multiparty Democracy). ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით, NIMD-თან თანამშრომლობის ფარგლებში, პოლიტიკურ პარტიებთან ჩატარდა შეხვედრები და სემინარები.

მედია და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის მასმედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში *საზოგადოებრივმა მაუწყებელმა* განახორციელა 2017 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები.

ტელემაუწყებლობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მოამბის“ 18:00 და 20:00 საათიანი გამოშვების ტრანსლირება ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მატარებელი ხმოვანი ბილიკების თანხლებით. აღნიშნული პროექტი - „გასაგებ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის“ - რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც ხორციელდება აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით. მიმდინარე წლის ივლისამდე ეთერში გადიოდა ყოველდღიური გამოშვებები სამ ენაზე (აფხაზურენოვანი – 23:00 საათზე, ოსურენოვანი- 23:30 საათზე, რუსულენოვანი - 00:00 საათზე; (ქრონომეტრაჟით 26 წთ)).

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო პენიტენციურ დაწესებულებებს ტექნიკურად შესაძლებელი ლიმიტის ფარგლებში უზრუნველყოფს ყველა ეროვნების ბრალდებულ/მსჯავრდებულისათვის საინტერესო სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, სამინისტრო უზრუნველყოფს სატელევიზიო მაუწყებლობაში უფასოდ ხელმისაწვდომი სატელევიზიო არხების ჩართვას.

პენიტენციურ დაწესებულებებში სატელევიზიო არხების მაუწყებლობა ხორციელდება 20 არხზე, მათ შორის: რუსული (12 არხი), ინგლისური (2 არხი), თურქული (2 არხი), აზერბაიჯანული (2 არხი), სომხური (1 არხი) და არაბული (1 არხი).

რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებს, ახალგაზრდებს მიაწოდა ინფორმაცია ადგილობრივი არხების ATV 12 და ფარვანას ციფრული გავრცელების შესახებ. სოციალურად დაუცველი ოჯახების ნაწილს უსასყიდლოდ გადაეცა ციფრული მაუწყებლობის სპეციალური ხელსაწყოები (სეთ თოპ ბოქსები).

რადიომაუწყებლობა

2017 წლის განმავლობაში ეთერში გადიოდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემა „ჩვენი საქართველო“ (ქრონომეტრაჟი - 40წთ). გადაცემის თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა: სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით არსებული სირთულეები, საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, სხვადასხვა ეთნოსების კულტურა, არსებული გამოწვევები, ტრადიციები და თავისებურებები.

სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სინქრონულად ნათარგმნი “მომბის” გამოშვებები იწერებოდა რადიოს სტუდიაში და გადაიცემოდა პირველი რადიოს ეთერში; ასევე რადიო 2-ის ეთერში გაგრძელდა ქურთულენოვანი (ქრონომეტრაჟი - 25 წთ) ყოველკვირეული საინფორმაციო-შემეცნებითი-გასართობი გადაცემა.

ეთნიკური უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

2017 წლის სექტემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ქოლგის ქვეშ ამოქმედდა შვიდენოვანი (ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური და რუსული) ვებ-პორტალი - www.itv.ge, რომლის საშუალებით მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს შესაბამის ენაზე მომზადებულ მისთვის საინტერესო ინფორმაციას, უყუროს რეპორტაჟებსა და სიუჟეტებს. ვებ-პლატფორმის საფუძველზე დაგეგმილია ინტერნეტ-რადიო-ტელევიზიის შექმნა.

ბეჭდვითი მედია

წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით გამოიცა სომხურენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „ვრასტანი“ (102 ნომერი, 3500 ტირაჟი) და აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი

„გურჯისტანი“ (93 ნომერი; ტირაჟი 2000). გაზეთები გავრცელდა როგორც თბილისში, ისე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაწესებულებებში.

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი) შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა გამართეს საინფორმაციო შეხვედრები. შეხვედრებზე, რომელსაც ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, ასევე სტუდენტები ესწრებოდნენ, განხილულ იქნა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით 2016 წელს განხორციელებული და 2017 წელს დაგეგმილი ღონისძიებები.

ცნობიერების ამაღლება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტული საკითხია. ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს პრევენციული ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს სოფელ ბარალეთსა და ფოკაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ტრენერებმა ტრეფიკინგის თემაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან 2 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს (20 მონაწილე).

საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2017 წლის განმავლობაში **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი სერვისებისა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით დასახლებულ რეგიონებში. 2017 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით გავრცელდა საინფორმაციო მასალები მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის შესახებ და ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის თაობაზე. ეთნიკური უმცირესობების

მშობლიურ ენებზე მომზადდა და საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით გავრცელდა საინფორმაციო მასალები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში, მეფუტკრეობისა და რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის, ასევე მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონულად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2017 წელს ჩატარდა 8 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი ფერმერები, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებზე

სსიპ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა სავალდებულო პროფესიული მომზადების, სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების პროცესი. სასწავლო ცენტრში მოქმედი, სამსახურში ახალი მიღებული თანამშრომლების მომზადებისა და მოქმედი თანამშრომლების პროფესიული გადამზადების, სასწავლო კურსები, სხვა თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ კატეგორიებსა და მათთან მუშაობის თავისებურებების სწავლებას, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში არსებულ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მიდგომებს, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაცნობას. 2017 წელს აღნიშნული კურსების ფარგლებში მომზადება/გადამზადება გაიარა 260-მა თანამშრომელმა.

II. თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა

სოციალური მობილობა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2017 წლის განმავლობაში „ჯანმრთელობის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადდა შემდეგი შინაარსის საგანმანათლებლო მასალები:

- ❖ „თამბაქოს კონტროლის გაძლიერების ხელშეწყობის კომპონენტი“ (90% ქართულ ენაზე, 5% სომხურ და 5% აზერბაიჯანულ ენაზე);
- ❖ თამბაქოს კონტროლის ახალი რეგულაციების შესახებ (9000 ცალი ქართულ ენაზე, 500 ცალი სომხურ ენაზე და 500 ცალი აზერბაიჯანულ ენაზე);

- ❖ „C” ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობის” კომპონენტი (90% ქართულ ენაზე, 5% სომხურ ენაზე და 5% აზერბაიჯანულ ენაზე);
- ❖ მიზნობრივი ფულადი სოციალური დახმარების საარსებო შემწეობის შესახებ დაიბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები (1000 ცალი რუსულ ენაზე, 2000 ცალი აზერბაიჯანულ ენაზე და 2000 ცალი სომხურ ენაზე).

ამასთან „C” ჰეპატიტის საკითხებზე მომზადებულ სამ სოციალურ ვიდეო მასალაზე განთავსდა სუბტიტრები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საქმიანობა

ახალგაზრდებში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების პროგრამა

„ახალგაზრდებში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების პროგრამის” ფარგლებში, 2017 წელს ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID „Zrda“ პროექტს შორის. რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და მათი დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობი ღონისძიებების მხარდასაჭერად, სამინისტროს მიერ შემუშავდა ახალი პროექტი „მეწარმეობის რეგიონული სკოლა”. სკოლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს 4 მუნიციპალიტეტში - პანკისის ხეობაში, გორში, ახალციხესა და ზუგდიდში მცხოვრები 17-29 წლის ახალგაზრდების სამეწარმეო და ინოვაციური კომპეტენციების, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება არსებული შესაძლებლობების გამოყენების, პიროვნული განვითარების, სტარტაპის დაწყებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის.

პროექტში მონაწილეობა მიიღო 160-მა ახალგაზრდამ ოთხივე მუნიციპალიტეტიდან. ტრენერებისა და მენტორების დახმარებით ოთხივე მუნიციპალიტეტში დამუშავდა სულ 35 სამეწარმეო იდეა. პროექტის დასასრულს, გაიმართა „დემო დღე“, სადაც დამუშავებული 35 იდეიდან 13 საუკეთესო იდეის ავტორებმა წარმოადგინეს საკუთარი პროდუქტი. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ პროდუქტები გაეცნოთ ფართო საზოგადოებასთვის, შეხვედროდნენ პოტენციურ პარტნიორებს და დამფინანსებლებს.

„მოხალისეობის განვითარების პროგრამა - საქართველოს მოხალისე,

პროგრამის მიზანია მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება, მოხალისეთა ერთიანი ქსელის განვითარება საქართველოს მასშტაბით, მოხალისეობის გზით ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა, სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობა, ქვეყანაში საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი

ნების საფუძველზე უანგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია, მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის წახალისება.

პროგრამის ფარგლებში საქართველოს 64 მუნიციპალიტეტში და ქ. თბილისში კონკურსის საფუძველზე შეირჩა 148, 17-დან 25 წლამდე მოტივირებული მოხალისე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები (2 მოხალისე თითო მუნიციპალიტეტიდან). შერჩეულმა ახალგაზრდებმა მოსამზადებელი ტრენინგ-სემინარის გავლის შემდეგ ერთი წლის ვადით მიიღეს „საქართველოს მოხალისის“ სტატუსი. მოხალისეები ახორციელებდნენ ისეთ ინიციატივებს როგორცაა: მოხალისეთა კლუბების შექმნა, გარემოსდაცვითი ღონისძიებები, საქველმოქმედო საქმიანობა - სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანების დახმარება, ფილმების ჩვენება, უცხო ენის კურსების გამართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია (სპორტული შეჯიბრებები, მარათონები), შშმ ბავშვების ინტეგრაცია, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, შემოქმედებითი საღამოების გამართვა, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრები და სხვა.

❖ **პროექტი „ცვლილებები თანასწორობისათვის“** - ხორციელდება 2013 წლიდან და ითვალისწინებს ცნობიერების ამაღლების მიზნით ლექცია-სემინარებს ჩატარებას. პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იზოლაციის აღმოფხვრა, საზოგადოებაში შშმ პირთა მიმართ არსებული ნეგატიური სტერეოტიპების რღვევა, მათი რეალური შესაძლებლობების წარმოჩენა დამოუკიდებელ ცხოვრებაში და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბება. მიმდინარე წელს პრიორიტეტს წარმოადგენდა მაღალმთიანი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები. 2017 წლის ღონისძიებები/შეხვედრები განხორციელდა შემდეგ რეგიონებში: რუსთავი, ოზურგეთი, ლაგოდეხი (სოფ. კაბალი), მარნეული, წალკა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, მესტია, ბათუმი.

სოციალური დახმარების პროგრამა

კახეთის რეგიონში წლის განმავლობაში 1100 მეტ ბენეფიციარს სხვადასხვა კუთხით გაეწია სოციალური დახმარება, მათ შორის: სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება, ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, ახალშობილი ოჯახის დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვ. საერთო ჯამში სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში ფულადი სახით გაიცა 250,000 ლარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **სამცხე-ჯავახეთის რეგიონში** ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში 4417 ბენეფიციარს გაეწია სოციალური დახმარება - 1 352 075 ლარის ოდენობით. აქედან, ეთნიკური უმცირესობების 2903 წარმომადგენელზე დახმარების სახით გაიცა 864 799 ლარი, მათ შორის:

- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები 1538 ბენეფიციარიდან დახმარება მიიღო ეთნიკური უმცირესობის 1083-მა წარმომადგენელმა - ჯამში 428 060 ლარის ოდენობის;
- ❖ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები 1540 ბენეფიციარიდან დახმარება მიიღო ეთნიკური უმცირესობის 1420-მა წარმომადგენელმა - ჯამში 317 195 ლარის ოდენობის;
- ❖ ახალციხის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები 1339 ბენეფიციარიდან დახმარება მიიღო ეთნიკური უმცირესობის 400-მა წარმომადგენელმა - ჯამში 119 544 ლარის ოდენობის;

ქვემო ქართლის რეგიონში სოციალური დახმარება გაეწია 13 767 ბენეფიციარს, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. (რუსთავში 1700, ბოლნისში 3670, გარდაბანში 3400, დმანისში 731, თეთრიწყაროში 1240, მარნეულში 2276, წალკაში 750 ბენეფიციარი).

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა¹³

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რაც ითვალისწინებდა გაზიფიკაციას, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარე განათების რეაბილიტაციას და სხვა.

კერძოდ:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

- ❖ სამცხე-ჯავახეთში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 64 პროექტი საერთო ღირებულებით 14 442 594 ლარი.
- ❖ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახალციხის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით 2 345 665 ლარი.
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 6 პროექტი ღირებულებით 1 771 635 ლარი.

¹³ სრული ინფორმაცია იხილეთ [დანართი 2](#)-ში.

ქვემო ქართლის რეგიონი

- ❖ ქვემო ქართლში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 67 პროექტი საერთო ღირებულებით 20 714 746 ლარი.
- ❖ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით 279 597 ლარი.
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 4 პროექტი ღირებულებით 1 004 787 ლარი.

კახეთის რეგიონი

- ❖ კახეთში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში დაფინანსდა 118 პროექტი საერთო ღირებულებით 26 276 117 ლარი.
- ❖ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 339 460 ლარი.
- ❖ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 5 პროექტი ღირებულებით 1 223 313 ლარი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა

რეგიონში არსებული ინფრასტრუქტურული გამოწვევების დასაძლევის მიზნით 2017 წელს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით“, „მთის ფონდით“ და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განხორციელდა 323 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა ღირებულებამაც შეადგინა 42 664 376 ლარი. მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდა 143 პროექტი 22 021 214 ლარის ღირებულების.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდა:

- ❖ ახალციხის მუნიციპალიტეტში - 25 ინფრასტრუქტურული პროექტი ღირებულებით 3 604 745 ლარი.
- ❖ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში - 25 ინფრასტრუქტურული პროექტი ღირებულებით 3 604 745 ლარი.
- ❖ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - 34 ინფრასტრუქტურული პროექტი ღირებულებით 1 403 160 ლარი.

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა

2017 წელს კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში განხორციელდა 36 ინფრასტრუქტურული პროექტი საერთო ღირებულებით 4,340,400 ლარი.

მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა:

- ❖ ახმეტის მუნიციპალიტეტში - 1 პროექტი 15 549 ლარის ღირებულების;
- ❖ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში -1 პროექტი- 5375 ლარის ღირებულების;
- ❖ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში - 13 პროექტი- 189 944 ლარის ღირებულების;
- ❖ ყვარლის მუნიციპალიტეტში - 4 პროექტი- 74,465 ლარის ღირებულების;
- ❖ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში - 7 პროექტი - 34 290 ლარის ღირებულების.

ხოლო, სხვადასხვა ფონდებიდან განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსებამ შეადგინა 201 038 ლარი.

ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა

2017 წელს „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით“, „მთის ფონდით“ და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განხორციელდა 356 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა ღირებულებამაც შეადგინა 58 000 000 ლარი. მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა:

- ❖ წალკის მუნიციპალიტეტში- 50 პროექტი - 2 663 400 ლარის ღირებულების;
- ❖ დმანისში 38 პროექტი - 3277000 ლარის ღირებულების;
- ❖ მარნეულში 74 პროექტი - 9280600 ლარის ღირებულების;
- ❖ გარდაბანში 31 პროექტი - 16862000 ლარის ღირებულების;
- ❖ ბოლნისში 23 პროექტი - 336 658 ლარის ღირებულების;
- ❖ თეთრიწყაროში 2 პროექტი 137000 ლარის ღირებულების.

III. ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

განათლების თითოეული საფეხური ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე, ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული).

საქართველოში ფუნქციონირებს 211 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა და 76 არაქართულენოვანი სექტორი. მათ შორის - 82 აზერბაიჯანულენოვანი, 118 სომხურენოვანი, 11 რუსულენოვანი სკოლები. ასევე ქართულ-აზერბაიჯანული სექტორი - 32, ქართულ-რუსული სექტორი - 29, ქართულ-სომხური სექტორი-10, ქართულ-აზერბაიჯანულ-რუსული სექტორი - 1, ქართულ-რუსულ-სომხური სექტორი-1.

ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაიდგა არაერთი ნაბიჯი:

- ❖ შეიქმნა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი. აღნიშნულ დოკუმენტებში გათვალისწინებულია ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური მრავალფეროვნების ასახვა, აღმზრდელ-პედაგოგების მიერ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა, თითოეულ აღსაზრდელში განსხვავებული მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და სხვა. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტში ცალკე მუხლია გამოყოფილი „ქართულის როგორც მეორე ენის“ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მახასიათებლების შესახებ (იხ. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტი, მუხლი 8.);
- ❖ მომზადდა ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული) სტანდარტი საბაზო საფეხურისათვის (VII-IX კლასები, პირველი ვერსია);
- ❖ ეთნიკური უმცირესობების მშობლიური ენების ექსპერტებთან ერთად მზადდება დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) წლიური პროგრამები;
- ❖ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები) მშობლიური ენის სტანდარტი;
- ❖ ყურადღება დაეთმო არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლებას;

- ❖ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა და გაფართოვდა „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის არეალი;
- ❖ „საზაფხულო სკოლების“ პროგრამის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ ფარგლებში, 2017 წელს საქართველოს რეგიონების მცირეკონტიგენტის საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის განხორციელებულ საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 1045-მა მოსწავლემ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა საანგარიშო პერიოდში განაგრძეს სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის 2017 წელს ჩატარდა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებმა.

საგანი	მოსწავლეთა რაოდენობა
ქართული, როგორც მეორე ენა	1841
საგნები აზერბაიჯანულ ენაზე	3681
საგნები სომხურ ენაზე	3598
საგნები რუსულ ენაზე	1208

მესამე ტურის საფუძველზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები, მათ შორის 10 რუსულენოვანი მონაწილე.

სკოლის გამოსაშვები გამოცდები

2017 წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე გავიდა:

სომხურენოვანი მოსწავლე	1512
აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე	2057
რუსულენოვანი მოსწავლე	1137

სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მოსაპოვებლად დადებითი შეფასება მიიღო:

სომხურენოვანი მოსწავლე	866
აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე	838
რუსულენოვანი მოსწავლე	889

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა

ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლიდან მოქმედებს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“¹⁴, რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება ზოგადი უნარების აფხაზურენოვანი, ოსურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობლად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების რაოდენობა: 2015 წელს ჩაირიცხა 741 აბიტურიენტი; 2016 წელს - 960, ხოლო 2017 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ზოგადი

¹⁴ ე.წ. „1+4“ პროგრამა;

უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 1046-მა აბიტურიენტმა:

- ❖ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე 673;
- ❖ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე 373;

- ❖ ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 1 აბიტურიენტი.

სახელმწიფო გრანტით დაფინანსდა აბიტურიენტები:

ოსურენოვანი ტესტის საფუძველზე	1
აზერბაიჯანულენოვანი ტესტის საფუძველზე	83
სომხურენოვანი ტესტის საფუძველზე	95

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერთა ბატალიონში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსებზე ირიცხება 5 იუნკერი (3 აზერბაიჯანელი, 2 სომეხი). ხოლო, ამჟამად ირიცხება 1 ეთნიკურად სომეხი იუნკერი.

შსს აკადემიაში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, 2017-2018 სასწავლო წელს ჩარიცხული იქნა 3 აზერბაიჯანელი სტუდენტი. სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობს აზერბაიჯანელი-4, სომეხი - 4, ოსი - 1 და თურქი - 1 სტუდენტი. მათ შორის 2017-2018 სასწავლო წელს ჩარიცხული იქნა: ეთნიკურად აზერბაიჯანელი - 4, სომეხი - 3 და თურქი -1 სტუდენტი.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ცნობიერების ამაღლების კამპანიას უმაღლესი განათლების სფეროში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განკუთვნილი შეღავათებისა და შესაძლებლობების შესახებ. გაიმართა შეხვედრები „ქართულ ენაში მოსამზადებელი სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის“, „1+4 პროგრამის“ თაობაზე

(ბოლნისის, ახალქალაქის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები). საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლები.

პროფესიული და ზრდასრულთა განათლების უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა საქმიანობა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ კუთხით, აქტიური საქმიანობა განახორციელა სსიპ ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ. სკოლის მიზანია საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სახელმწიფო ენის სწავლება.

წლის განმავლობაში სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ განახორციელა „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამა.

„საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების“ პროგრამის ექვსი დარგობრივი მიმართულების (სახელმწიფო შესყიდვები; საჯარო ორგანიზაციების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება საჯარო სექტორში; საჯარო ფინანსების მართვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია; ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა) ფარგლებში 2017 წელს სწავლება გაიარა 89 მსმენელმა.

პროფესიულ პროგრამებში მონაწილეობის მიღების მიზნით 2017 წლის საგაზაფხულო მიღებაზე 32-მა აპლიკანტმა გამოთქვა სურვილი გაეწეოთ პროფესიული ტესტირება სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე აპლიკანტთა რაოდენობამ 76 შეადგინა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღების ფარგლებში ქართული ენის მოდულში ჩაერთო 38 პროფესიული სტუდენტი.

2017 წელს „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ მოდულით ტრენინგი გაიარა 352 მასწავლებელმა. სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ტრენინგების გარდა, ჩატარდა ტრენინგები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს შესახებ. დატრენინგდა სხვადასხვა საგნისა და საფეხურის 60 პედაგოგი. ტრენინგების შემდგომ მასწავლებლებმა დაიწყეს მუშაობა თავიანთ მოსწავლეებთან სკოლებში დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ამსახველ 3-5 წუთიან ვიდეოფილმებზე. საუკეთესო

ვიდეოფილმი ეხებოდა გენდერულ სტერეოტიპებს. ფილმის ავტორი მოსწავლეები ევროსაბჭომ ფინალურ კონფერენციაზე მიიწვია, სტრასბურგში. ასევე, შეიქმნა ტრენინგმოდული „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში“.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის N182 დადგენილებით დამტკიცდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებით და/ან სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2-დან 4 თვემდე პერიოდს; პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებას ვაუჩერის სახით. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს **სახელმწიფო მინისტრის აპარატის** ინიციატივით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე პირებად განისაზღვრნენ ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. ზემოაღნიშნული პირები გათავისუფლდებიან პროგრამაში მონაწილეობის ისეთი სავალდებულო პირობისგან, როგორც არის ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა. შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ასეთი დოკუმენტის არქონის გარეშე შეეძლებენ მიიღონ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ პირებს სხვა თანაბარ პირობებში არსებობისას, პროგრამით სარგებლობის უპირატესი უფლება ენიჭებათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) აკადემიაში მოქმედი პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო სხვადასხვა პროგრამები¹⁵ (დეტექტივ-გამომძიებლის, პატრულ-ინსპექტორთა მომზადების, უბნის ინსპექტორთა მომზადების და საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები) გაიარა სულ 301 მსმენელმა.

მართლწესრიგის პროექტის ფარგლებში შსს აკადემიაში სასკოლო ვიზიტით იმყოფებოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების ვახტანგისის და ლემშვენიერას მკვიდრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი საჯარო სკოლის 36 მოსწავლე. 2017 წელს შსს აკადემიაში ვიზიტით იმყოფებოდა სულ 950 მოსწავლე/სტუდენტი.

2017 წელს განხორციელდა **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში** სოფელ შრომაში სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ ფილიალის რეაბილიტაცია. ფილიალმა პროფესიული სტუდენტები მიიღო 2017 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში. ასევე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები

¹⁵ პროგრამების ფარგლებში ხორციელდება შემდეგი კურსები: ადამიანის უფლებები; პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში; საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია; ოჯახში ძალადობა; დისკრიმინაციის დაუშვებლობა და გენდერული თანასწორობა.

მარნეულის მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიზნით.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტის - „წიგნი ყველა სოფელს“ განხორციელების მიზნით მაისი-ივნისის თვეში განხორციელდა 15 000 ლარის ღირებულების 10 000 (ათიათასი) წიგნის შეგროვება-დასაწყობება, დახარისხება ჟანრების მიხედვით და რეგიონებში ჩატანის უზრუნველყოფა (ქვემო-ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონები).

არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება

„არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა“

არაქართულენოვან სკოლებში გაგრძელდა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ განხორციელება. პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერების გზით. ასევე პროგრამა ორიენტირებულია (2016-2019წწ.) არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების, როგორც საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე, ისე მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე.

პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ ასევე ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების საკადრო დეფიციტის დაძლევას. ამ მიზნით სკოლებში მივლინებულ იქნა:

- ❖ 118 ქართლის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი ;
- ❖ 114 ქართლის, როგორც მეორე ენის და საზოგადოებრივი მეცნიერების დამხმარე მასწავლებელი;
- ❖ 50 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებებით.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები:

- ❖ საგნის გამოცდის და საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურება ჩატარდა 2017 წლის ივლისში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 177-მა რუსულენოვანმა, 369 სომხურენოვანმა, 387-მა აზერბაიჯანულენოვანმა აპლიკანტმა;

- ❖ გაიმართა ლიდერობის აკადემია 1 და 2, რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე ითარგმნა ლიდერობის აკადემია 1-ის 3 მოდული (ჯამში 40 საკონტაქტო საათი) და ლიდერობის აკადემია 2-ის ხუთი მოდული (ჯამში 64 საკონტაქტო საათი) თანმხლები სატრენინგო მასალით;
- ❖ საჯარო სკოლების არაქართულენოვანი დირექტორებისა და ფასილიტატორებისთვის ჩატარდა ტრენინგები ლიდერობის აკადემია 1-ის სამ მოდულში (100-სომხურენოვანი; 58 აზერბაიჯანულენოვანი და 9 რუსულენოვანოვანი);
ჩატარდა ტრენინგები აზერბაიჯანულ და რუსულენოვანი საჯარო სკოლის დირექტორებისა და ფასილიტატორებისათვის (მოწვეული 81 მონაწილე);
- ❖ აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე ითარგმნა ზოგადპროფესიული უნარების სამი მოდული ყველა თანმხლები სატრენინგო მასალებით: კერძოდ: „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები“; „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები“ და „სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“;
- ❖ არაქართულენოვანი სკოლების ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგები ზოგადპროფესიული უნარების კურსის პირველი მოდულის მიხედვით. ტრენინგებზე მოწვეული იყო სულ 2091 მასწავლებელი, რომელთაგან ტრენინგზე გამოცხადდა 1547 (74%).

სახელმწიფო ენის სწავლების გაუმჯობესების ხელშეწყობა

სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება. განათლების თითოეულ საფეხურზე გაგრძელდა იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობის ზრდისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით 2017 წლის განმავლობაში ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში შესრულდა დაგეგმილი სამუშაო და ვებგვერდზე www.geofl.ge. განთავსდა: ქართული ენის სახელმძღვანელო „ადმართი“ უცხოელი შემსწავლელებისთვის (ენის ფლობის A2+, B2, B2+ დონეები); ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურა (ენის ფლობის B1, B2, B2+ დონეები); თვითშეფასების შკალები შემსწავლელებისთვის; სასწავლო განმარტებით-თარგმნით-აუდიო ელექტრონული ლექსიკონი (ენის ფლობის B1.1 დონე). ვებ-გვერდს წლის განმავლობაში ჰყავდა 27000 მომხმარებელი.

სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიმართულებით საქმიანობა განაგრძო **სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლამ**, რომელმაც განახორციელა

„სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში, საჯარო სექტორში დასაქმებულ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამხარეო ადმინისტრაციების, განათლების სამინისტროს რესურსცენტრების, საჯარო სკოლების თანამშრომლებსა და ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს უფასოდ ისწავლოს სახელმწიფო ენა სკოლის დაქვემდებარებაში არსებულ 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრს¹⁶ და 175 მობილურ ჯგუფში (71 სოფელში).

წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამით ისარგებლა 3247-მა ბენეფიციარმა (1423 სომეხი, 1620 აზერბაიჯანელი, 3 რუსი, 2 ბერძენი, 11 ქართველი, 6 ჩეჩენი, 8 ოსი, 1 უკრაინელი).

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების ადგილობრივი მასწავლებლების ორი ნაკადისთვის ჩატარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი, რომელშიც ჩართული იყო 1080 მსმენელი.

მასწავლებლებს, რომლებმაც დაადასტურეს სახელმწიფო ენის ცოდნა მინიმუმ ა2 დონეზე, შესაძლებლობა ქონდათ პროგრამის ფარგლებში გაეცლოთ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული შემდეგი ტრენინგ-მოდულები:

- ❖ „სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება“ - 283 მსმენელი;
- ❖ „ინკლუზიური სწავლება არაქართულენოვან სკოლებში“ - 126 მსმენელი.

პროგრამის „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“ კონსულტანტ-მასწავლებლების მიერ სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების მეორე ნაკადისთვის ჩატარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი, რომელშიც ჩართული იყო 540 მსმენელი, მათ შორის A1 დონის შემსწავლელი 80 მსმენელი, A2+ დონის - 303 და B1 დონის - 157. ენის კურსის დასრულებისას ჩართული 460 მასწავლებლიდან საბოლოო შეფასებაზე გამოცხადდა 440. მათგან A1 დონე დაადასტურა 55 მსმენელმა, A2 - 171, B1 - 108.

გარდა ამისა, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელდა კონკრეტული ღონისძიებები:

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში,

¹⁶ ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, გარდაბანი, საგარეჯო, ახმეტა, ლაგოდეხი

მიმდინარე წლის თებერვალში აფხაზური ენის სწავლება დაინერგა ბათუმის №14 და სოფელ ფერიის საჯარო სკოლებში, ხოლო აგვისტოდან ქართული ენის შემსწავლელი კურსები გაიხსნა ქ. ახალქალაქის სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმინდა ეკლესიის ეპარქიაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულ „მეგობრობის სახლში“ ჩატარდა სწავლების კურსი - „ვისწავლოთ ქართული“. პროექტის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების 38 წარმომადგენელმა გაიარა სამ თვიანი სწავლების კურსი, მათგან მხოლოდ ოცმა წარმომადგენელმა დაასრულა სწავლება. ამ ეტაპზე ქართული ენის სწავლების კურსებში ჩართულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 95 მსმენელი.

ააიპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლეში“¹⁷ ფუნქციონირებს კლუბი: „ქართული ენა არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის“.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური განყოფილება უზრუნველყოფს არაქართულენოვანი მსჯავრდებულების ჩართვას ქართული ენის შემსწავლელ პროგრამაში. ქართული ენის შემსწავლელ კურსებში 2017 წლის განმავლობაში ჩართული იყო 74 არაქართულენოვანი მსჯავრდებული.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა ქართული ენის უფასო კურსები შესთავაზა საქართველოს არაქართულენოვან მოქალაქეებს. 2017 წლის განმავლობაში სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსი განხორციელდა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოსა (23 მონაწილე) და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმულანლოს (16 მონაწილე) საზოგადოებრივ ცენტრებში.

IV. ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს წახალისება

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სხვადასხვა პროგრამების/პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც მიზნად ისახავდა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დაცვა-განვითარებასა და პოპულარიზაციას. კულტურული თვითგამოხატვის ხელშეწყობისა და შემდგომი ინტეგრირების მიზნით მნიშვნელოვანი იყო მუზეუმებისა და თეატრების საქმიანობის ხელშეწყობა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით.

¹⁷ სასახლეში ირიცხება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი 237 მოსწავლე, რომლებიც ჩართულნი არიან სხვადასხვა წრეობრივ ჯგუფში, ღონისძიებასა და აქტივობაში.

თეატრების ხელშეწყობა

- ❖ სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო სომხური პროფესიულმა თეატრმა გამართა 15 სპექტაკლი, მათ შორის 3 პრემიერა. სპექტაკლებს დაესწრო 3592 მაყურებელი. წლის განმავლობაში თეატრი დაფინანსდა - 396 000 ლარით.
- ❖ სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გამართა 7 სპექტაკლი, 2 გასვლითი სპექტაკლი გარდაბანში, 2 პრემიერა, 1 გასტროლი თურქეთში, ქ. ადანაში რომელსაც დაესწრო 850 მაყურებელი. წლის განმავლობაში თეატრი დაფინანსდა - 220 881 ლარით.
- ❖ სსიპ ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსულმა პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გამართა 103 სპექტაკლი, დაესწრო 3147 ადამიანი. ქ. მაგილოვში გაიმართა 20 საგასტროლო სპექტაკლი, 2 გასვლითი სპექტაკლი. თეატრი დაფინანსდა - 1 089 000 ლარით.

მუზეუმების მხარდაჭერა

- ❖ სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი - წიგნი "საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია" გამოიცა "დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმის" მხარდაჭერით. 2017 წელს ქალაქ ბათ-იამის (ისრაელი) "ემკოლ პაისის" კულტურის სახლში ჩატარდა წიგნის პრეზენტაცია. ნაშრომი ეძღვნება ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვან თანაცხოვრებას. მუზეუმის საქმიანობის ფარგლებში გაიმართა 2 გამოფენა, 1 საღამო, 1 საიუბილეო ღონისძიება, 1 შეხვედრა, ჩაიწერა 2 გადაცემა რადიოსა და ტელევიზიაში. წლის განმავლობაში მუზეუმი დაფინანსდა 115 000 ლარით;
- ❖ სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი - 2017 წელს გაიმართა 4 გამოფენა, დოკუმენტური ფილმების ჩვენება, 2 კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება, 1 პრეზენტაცია. წლის განმავლობაში მუზეუმის დაფინანსებამ შეადგინა 37 000 ლარი;
- ❖ სსიპ სმირნოვების მუზეუმი - მუზეუმი გაიხსნა აპრილის თვეში და მისი ბუჯეტი შეადგენს 63 216 ლარს. ჩატარდა სამი ღონისძიება, მათ შორის ფილმის პრეზენტაცია, შეხვედრები.

წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის, მატერიალური და არამატერიალური კულტურული ფასეულობების დაცვის საკითხს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგრანტო დაფინანსების - 50 000 ევროს ფარგლებში დაგეგმილია წიგნის „გერმანელი კოლონისტების არქიტექტურულ მემკვიდრეობა საქართველოში“ გამოცემა.

ასევე გათვალისწინებულია ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოთაში და ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფელ საყუნეთში, მეჩეთების სარეაბილიტაციო პროექტის მომზადება.

კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა

2017 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ პრიორიტეტისათვის „ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობა“ გამოყო 185 750 ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდა კულტურის სფეროში მოღვაწე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების გამოფენების, გამოცემების, სპექტაკლების, საღამოების, სხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა 14 პროექტის მხარდაჭერა (**იხ. დანართი 3**).

კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ „პანკისობა 2017“ - სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართულობითა და კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით, პანკისობის დღესასწაული სოფელ დუისში მასშტაბურად აღინიშნა. ღონისძიებების ფარგლებში, სხვადასხვა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იყო საქმიანობის ამსახველი გამოფენები. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში გაიმართა კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, დაჯილდოვდნენ დამსახურებული, საპატიო მოქალაქეები.
- ❖ ვაინახური კულტურის კვირეული - სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა მრავალფეროვანი პროგრამა - კონცერტი, საჯარო ლექციები, ქისტური ფოლკლორისა და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, ვაინახურ თემაზე შექმნილი წიგნების პრეზენტაცია, პანკისის ხეობასა და პანკისელ ქისტ ქალებზე გადაღებული ვიდეორგოლების პრეზენტაცია,

- ქისტი პროექტების შემოქმედების გაცნობა, ბავშვთა თეატრის სპექტაკლი, სპორტული ღონისძიებები და სხვა.
- ❖ მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალს "ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი" - საქართველოს გაეროს ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით გაიმართა ყოველწლიური მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ - კულტურათა დიალოგი", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები. 2017 წლის განმავლობაში, ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ორი კონცერტი (ქ. ახალციხეში და ქ. რუსთავში).
 - ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფოლკლორული კონცერტი გაიმართა ქ. მცხეთაში. კონცერტის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა წაიკითხეს ამონარიდები „ვეფხისტყაოსნიდან“ ქართულ და მშობლიურ ენებზე. ამავე ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ, სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოცხადებული ესეების კონკურსის „ქართული ენა - გზა ჩემი წარმატებისაკენ“ გამარჯვებულები.
 - ❖ ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში განხორციელდა არაერთი ღონისძიება. საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა ოფიციალური მიღება, სადაც დაჯილდოვდნენ მედია კონკურსის „საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება“ გამარჯვებულები.
 - ❖ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით გაიმართა ჩეჩენი და ინგუში ხალხის დეპორტაციის 73 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო. საღამოს სხვადასხვა სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პანკისის ხეობიდან ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ.
 - ❖ სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს პარლამენტის ორგანიზებით, შოთა რუსთაველის სახელობის საპარლამენტო დარბაზში ოსურ-ქართული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო ოსური კულტურის წარმოჩენა/პოპულარიზაცია. ღონისძიებაზე წარმოდგენილ იქნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან არსებული საცეკვაო ანსამბლ "ნართების", ვოკალური ანსამბლ "ლიახვისა" და ცხინვალის თეატრის მიერ შესრულებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები.
 - ❖ წლის განმავლობაში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, პერიოდულად ულოცავს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს, როგორც მოსახლეობას, ასევე დიპლომატიურ კორპუსს, მათ ეროვნულ და რელიგიურ დღესასწაულებს.

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციების მიერ განხორციელებული საქმიანობა

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული იმ ღონისძიებების ორგანიზებაში, რომლებიც ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადმინისტრაციულ ერთეულებში ფუნქციონირებს საკლუბო დაწესებულებები, შექმნილია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები. ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლები. ხოლო, ახალქალაქში და ახალციხეში სამხატვრო სკოლები, რომლებიც სისტემატიურად მონაწილეობენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოფენებში. ამასთანავე, კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტებით ხორციელდება სხვადასხვა ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა და ღონისძიებების დაფინანსება. სამცხე-ჯავახეთის 6 მუნიციპალიტეტში საერთო ჯამში 183 კულტურული დაწესებულება ფუნქციონირებს, აგრეთვე 11 სამხატვრო და მუსიკალური სკოლა.

კახეთის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კახეთის რეგიონში დაიგეგმა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობით განხორციელდა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება. კერძოდ: “ნოვრუზ ბაირამი”, „პურისა და ღვინის ფესტივალი“, კოსტა ხეთაგუროვის 158 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება „კოსტაობა“, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, ღონისძიება მასწავლებელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით და სხვა.

სპორტულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პანკისის ხეობაში ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. წარმატებულმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს სპორტული სკოლების გრაფიკით გათვალისწინებულ როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო ტურნირებში, სპორტის შემდეგ სახეობებში: ძიუდო, ბერძნულ-რომაული, ათლეტიზმი, რაგბი, კიკ-ბოქსინგი, ფეხბურთი. სპორტის ამ სახეობებით დაკავებულია ხეობის 350-მდე ბავშვი. მათ შორის:

- ❖ ააიპ საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონის“ ბაზაზე პანკისის ხეობაში ფუნქციონირებს ოთხი საფეხბურთო ჯგუფი (სოფლებში: დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი, ომალო), სადაც 80 -მდე ბავშვს ემსახურება ოთხი მწვრთნელ-მასწავლებელი.
- ❖ ააიპ ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლა: ხეობაში გახსნილია სამი საჭიდაო დარბაზი (სოფლებში: დუისი, საკობიანო, დუმასტური), სადაც ექვს სხვადასხვა ჯგუფში ვარჯიშობს 120- მდე ბავშვი. 2017 წელს დამწყებმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ტურნირებში.
- ❖ ააიპ კომპლექსური სასპორტო სკოლის ბაზაზე პანკისის ხეობაში 2017 წლისთვის ფუნქციონირებს ოთხი სპორტული ჯგუფი (კიკ-ბოქსინგი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და ათლეტიზმი), სადაც 150-მდე ბავშვს ემსახურება რვა მწვრთნელ-მასწავლებელი.

ქ. ლაგოდეხში ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრში, ამავე სამსახურის თანამშრომლების ინიციატივით მოეწყო დღის ცენტრი. პროექტი განხორციელდა სათემო ცენტრ „ლელი“-ს და ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრის თანადაფინანსებით, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ და სოციალურად დაუცველ სკოლის მოსწავლეებს დახმარებას უწევენ გაკვეთილების მომზადებაში და უნარ-ჩვევების ამაღლებაში.

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა

ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებულ კულტურულ და სპორტულ აქტივობებში აქტიურად არიან ჩართულნი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. რეგიონის მასშტაბით ჩატარდა ისეთი ღონისძიებები როგორცაა: ხაზ ნისანი, ნოვრუზ ბაირამი, გარისობა, ტოლერანტობის დღე, ფესტივალი ერთიანი კავკასია, ნახატების გამოფენა მშვიდობის თემაზე, ალაიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სოფელ ასურეთში გერმანელი შვაბების ჩამოსახლების 200 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ამასთანავე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები თანაბრად არიან ჩართულნი და მონაწილეობენ ქალთა საერთაშორისო დღის, დედაენის დღის, დედამიწის დღის, დამოუკიდებლობის აღმნიშვნელი დღის, ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღის, აღმნიშვნელ ღონისძიებებში.

მუნიციპალიტეტები თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ეთნიკური უმცირესობების კულტურული ძეგლის სტატუსის მატარებელი ობიექტების, შენობა-ნაგებობების, ისტორიულ კულტურული ტაძრების, სალოცავების ზრუნვას და მოვლა-პატრონობას.

ქვემო ქართლის რეგიონში მიმდინარე სპორტულ აქტივობებსა და ღონისძიებებში, კერძოდ, ფეხბურთის, ჭიდაობის, კალათბურთის, ძიუდოს, ფრენბურთის, კიკბოქსინგის ადგილობრივ თუ რეგიონალურ ტურნირებში თანაბრად არიან ჩართულნი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები. სასკოლო სპორტულ ოლიმპიადებში, სპორტულ ფესტივალებში „სპორტი ბარიერების გარეშე“, საქართველოს, ევროპისა და საერთაშორისო ტურნირებში 66 სპორტსმენიდან 13 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სპორტსმენია.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული აქტივობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა 337 კულტურული და 35 სპორტული ღონისძიება. ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებული მსჯავრდებულები.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებობს ოთახი, სადაც განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენლები ხვდებიან მათ სულიერ მოძღვრებს და ადავლენენ რელიგიურ რიტუალებს. ასევე, N5 ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში ისლამის მიმდევარი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისათვის ფუნქციონირებს რელიგიური რიტუალების აღსასრულებელი სპეციალური ოთახი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ტოლერანტობის ცენტრთან, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა სათვისტომოებთან.

პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად 2017 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა 3 ღონისძიება. მათ შორის იყო ფოტოგამოფენები, კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები. ზემოხსენებული ღონისძიებების მიზანი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და ტრადიციების პოპულარიზაცია, მათი კულტურულ სივრცეში ინტეგრაცია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ❖ სერგო ფარაჯანოვის 93 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ❖ ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა "ეკვილიბრიუმის" ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს არაქართულენოვან სკოლაში გაიხსნა ბიბლიოთეკა.
- ❖ ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა "ეკვილიბრიუმის" ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვან სკოლებს (სავანეთი, ქვემო არქევანი) გადაეცათ წიგნები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში აქტიური საქმიანობა განაგრძო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულმა „მეგობრობის სახლმა“. „მეგობრობის სახლში“ პერმანენტულად ტარდებოდა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები (სახალხო დღესასწაული „მასლენიცა“,

ბელორუსიის სათვისტომოს მიერ გამოჩენილი მწერლების კვირული, ებრაული ცენტრის დირექტორისათვის ქ-ნი ზაირა დავარაშვილისათვის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება და სხვა) და ტრენინგები („წარმატებული მოლაპარაკების წარმოება და მხარდამჭერთა მობილიზება“), რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

საკრებულოს ინიციატივით, გაიმართა რიგით მე-10 კონფერენცია თემაზე: „უკეთ გავიცნოთ კავკასია“. კონფერენციაში თბილისელ უფროსკლასელებთან ერთად მონაწილეობდნენ თელაველი და პანკისელი მოსწავლეები; კონფერენციის მონაწილეებმა წარმოადგინეს ნაშრომები კავკასიის ხალხების კულტურასთან, ისტორიასთან, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებთან, ცხოვრების წესთან, მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებთან დაკავშირებით. გამოიფინა კავკასიურ თემაზე შესრულებული მოსწავლეთა ნამუშევრები.

ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „თბილისის მეგობრობის სახლში“ ეთნიკურ უმცირესობათა მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებულ „მეგობრობის სახლის“ ფარგლებში გაიმართა შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, ხელოვანების სფეროს მოღვაწეებთან, გაიმართა წიგნების პრეზენტაციები, დამწყები მხატვრების გამოფენები. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სტუდენტებისათვის გაიმართა ინტელექტუალური თამაშები. მოეწყო საღამოები, კონფერენციები.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობა

- ❖ ხვამლის მთის ახალგაზრდული ბანაკი - ხვამლის მთაზე მოეწყო არქეოლოგიური ბანაკი, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ლაშქრობები ხვამლის მთასა და უწვამის ციხეზე. მონაწილეებს ჩაუტარდათ პირველადი დახმარების გაწევის შესახებ ტრენინგი და ლექციები არქეოლოგიასა და ისტორიაში. პროექტის ბენეფიციარი იყო ჯამში 19 ახალგაზრდა (7-გოგონა, 12-ბიჭი), რომელთაგან 5 იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.
- ❖ პანკისში, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ტურიზმის განვითარებაში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა ახალგაზრდების მომზადებას მთის საფეხმავლო გიდეებად მონაწილეობა მიიღო 15-მა ახალგაზრდამ. სამ დღიანი კურსის დასრულების შემდეგ საფეხმავლო გიდეებმა ტრენერთან ერთად დაგეგმეს და განახორციელეს 9 დღიანი ლაშქრობა. ლაშქრობის დროს ისინი გადავიდნენ პანკისის ხეობიდან თუშეთში და მოახდინეს ახალი

საფეხმავლო მარშრუტის მარკირება. პროექტის ფარგლებში მომზადდა პანკისი-ტბათანა-ბორბალო-თუშეთის მარშრუტის დეტალური აღწერა, რომელიც ელექტრონული და ბეჭდური სახით გამოიცემა.

- ❖ ეკობანაკი - პროექტი მიზნად ისახავს მოზარდებში ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და აღნიშნული თემებით დაინტერესებული ახალგაზრდების არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვასა და წახალისებას. ინკლუზიური ჯგუფი დაკომპლექტდა საქართველოს მასშტაბით 14-16 წლის ახალგაზრდებით. ეკობანაკის ფარგლებში ჩატარდა გამწვანებისა და დასუფთავების აქციები. მონაწილეებმა იმუშავეს თემებზე: აქტიური მოქალაქეობა, მოხალისეობა, გუნდის მშენებლობა, თანატოლგანმანათლებლობა, საქართველოს დაცული ტერიტორიები, ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილებები და ბუნებრივი კატასტროფები, პროექტის წერა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები. ასევე საინტერესო თამაშებისა და შემეცნებითი აქტივობების მეშვეობით დაათვალიერეს ლაგოდეხის დაცული ტერიტორია. მონაწილეები წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი რეგიონებიდან: თბილისი, მარნეული, ჰერეთი (კახი), ლაგოდეხი, გარდაბანი, ნინოწმინდა.

V. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება

ეთნიკური უმცირესობების დაცვის კუთხით საქართველო სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების ფარგლებში ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს. სახელმწიფო მიერთებულია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპულ ჩარჩო კონვენციას და შესაბამისად, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული აქვს ის ვალდებულება, რაც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვას და მათი ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფას ქვეყნის განვითარებაში. აღნიშნული მექანიზმიდან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინირებით მომზადდა მონიტორინგის მესამე ციკლის ფარგლებში სახელმწიფო ანგარიში, რომელიც 2017 წლის ივლისში წარედგინა ევროპის საბჭოს. ანგარიში მოიცავს 2012-2017 წლების პერიოდს და ასახავს საქართველოს მიერ კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

2017 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა სამოქალაქო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან, ადგილობრივ და საერთაშორისო

ექსპერტებთან, სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან. ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატს მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობასთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელების მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერა ხორციელდებოდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

დანართი 1

არჩევნების მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოებისა და საარჩევნო კულტურის გაძლიერების მიზნით ცესკოს მიერ სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ეთნიკურ უმცირესობათა თემებისათვის გაცემული მცირე გრანტები

1	ააიპ საზოგადოებრივი დამცველი	ახმეტა, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი	25 035 ლარი
2	ააიპ ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები	რუსთავი, გარდაბანი, წალკა, თეთრიწყარო	25 095 ლარი
3	ააიპ კავშირი საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო	სამცხე-ჯავახეთი	37 907 ლარი

4	ააიპ ინფორმირებული	მარნეული, ბოლნისი, დმანისი	18 220 ლარი
5	ააიპ სტუდენტური საერთაშორისო ინიციატივა	სამცხე-ჯავახეთი	18 965 ლარი
6	ააიპ ახალგაზრდული ცენტრი - ჩვენი თაობა 1921	დედოფლისწყარო, სიღნაღი, გურჯაანი	18 842 ლარი
7	ააიპ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია - კავშირი „პაროს“	ნინოწმინდა, ახალციხე	18 954 ლარი
8	ააიპ „ჯანმრთელი სამყარო“	საგარეჯო, თელავი, ლაგოდეხი	18 550 ლარი
		სულ	181 568 ლარი

დანართი 2

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

ქვემო ქართლის რეგიონი

რუსთავი

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 11 პროექტი ჯამური ღირებულებით 7 436 441 ლარი.

ბოლნისი

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 10 პროექტი ჯამური ღირებულებით 5 041 835 ლარი.

გარდაბანი

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ჯამური ღირებულებით 2 289 053 ლარი.

დმანისი

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 პროექტი ჯამური ღირებულებით 1 466 923 ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დმანისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 170 240 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ დმანისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 320 092 ლარი.

თეთრიწყარო

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 5 პროექტი ჯამური ღირებულებით 2 758 752 ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით 4 404 945 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 332 500 ლარი.

მარნეული

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 21 პროექტი ჯამური ღირებულებით 5 668 007 ლარი.

წალკა

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, წალკის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 10 პროექტი ჯამური ღირებულებით 2 455 573 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ წალკის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით 396 560 ლარი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ქვემო ქართლში 2017 წელს დაფინანსდა 6 პროექტი ჯამური ღირებულებით 8 777 306.29 ლარი, ასევე მიმდინარეობს 2 პროექტი და 2017 წელს დაფინანსებულია 223 013.03 ლარით.

სამცხე ჯავახეთის რეგიონი

ახალციხე

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 12 პროექტი ჯამური ღირებულებით 3 464 643 ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით 1 534 812 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ღირებულებით 574 944 ლარი.

ახალქალაქი

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 9 პროექტი ჯამური ღირებულებით 4 783 867 ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 1 409 556 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 177 773 ლარი.

ადიგენი

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ადიგენის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 6 პროექტი ჯამური ღირებულებით 2 285 505 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ადიგენის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 275 000 ლარი.

ასპინძა

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 6 პროექტი ჯამური ღირებულებით 2 638 583 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 489 499 ლარი.

ნინოწმინდა

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3 პროექტი ჯამური ღირებულებით 1 879 878 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 პროექტი ღირებულებით 272 419 ლარი.

ბორჯომი

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 19 პროექტი ჯამური ღირებულებით 6 425 614 ლარი.

- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3 პროექტი ღირებულებით 4 706 113 ლარი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2017 წელს დაფინანსდა 9 პროექტი ღირებულებით 29 076 038.27 ლარი, ასევე მიმდინარეობს 4 პროექტი, რაც 2017 წელს დაფინანსებულია 1 372 527.88 ლარით.

კახეთის რეგიონი

ლაგოდეხი

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 15 პროექტი ჯამური ღირებულებით 3 594 980 ლარი.

ახმეტა

- რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 12 პროექტი ჯამური ღირებულებით 2 840 434 ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 პროექტი ღირებულებით 3 162 012 ლარი.
- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 პროექტი ღირებულებით 1 118 024 ლარი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, 2017 წელს კახეთის რეგიონში დაფინანსდა ოთხი პროექტი, ჯამური ღირებულებით 2 068 653.44 ლარი.

დანართი 3

პრიორიტეტისათვის „ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობის“ ფარგლებში დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ❖ საქართველოს ქალთა საბჭოს პროექტის „სიყვარულის გზით“ ფარგლებში ქ. ბორჯომში მოეწყო საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობების დამყარების 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა და კონცერტი სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები უკრაინელების, ოსების, სომხების, ბერძნების და ქართველების მონაწილეობით. გაიმართა მათი ტრადიციული კერძების პრეზენტაცია, ასევე ჩატარდა უკრაინული ტრადიციული ხელოვნებისა და ხელნაკეთობების დამზადების მასტერ-კლასი;
- ❖ ა(ა)იპ „ქართველ სომეხთა კავშირი“-ს პროექტის „სომხური კულტურა მულტიეთნიკურ საქართველოში“ მიზანს წარმოადგენდა დედაქალაქსა და რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შემოქმედებითი აქტივობების, მათ შორის კონცერტის და გამოფენის ჩატარება და საქართველოში სომხური კულტურის თავისებურებების წარმოჩენა-პოპულარიზაცია;

- ❖ ქალთა კავშირი „კავკასიელ ქალთა კონგრესი“ პროექტის „ქისტური ფოლკლორის და ხელოვნების ნიმუშების გამოფენა და კონცერტი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში“ - გაიმართა ქისტური ფოლკლორის და ხელოვნების ნიმუშების ქართული საზოგადოებისათვის გასაცნობად, ღონისძიება მოიცავდა კონცერტს და გამოფენას თბილისში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში;
- ❖ ა(ა)იპ „არტარეა TV2.0“ პროექტის „თბილისური ეზო - ისტორიული კავშირი“ ფარგლებში არქიტექტურულად გამორჩეულ ერთ-ერთ თბილისურ ეზოში ჩატარდა ეთნიკური მუსიკის საღამო, სადაც მონაწილეობა მიიღეს თბილისში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა;
- ❖ ა(ა)იპ „ქალთა უფლებების სათემო ინიციატივა“-ს პროექტის „საქართველოს ქურთ-ეზიდთა კულტურული მემკვიდრეობა“ - ფარგლებში ქურთ-ეზიდ მხატვართა და ტრადიციული ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო თბილისში, ბათუმში და თელავში, გაჟღერდა ქართულ-ეზიდური ჰანგები, ეზიდურ-ეროვნული ცეკვები, სამოსი, ფოლკლორულ სიმღერები, გაიმართა ქართულ-ეზიდური კერძების პრეზენტაცია;
- ❖ ინდივიდუალური მეწარმე ნინო ჭიჭინაძე - „ორნამენტი“ - პროექტის მიზანი იყო პანკისის ხეობაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ტექსტილის შესწავლა. შეიქმნა 2 ჯგუფი, თითოეულ ჯგუფში 10-12 მოსწავლე. სოფელ დუისის ხელოვნების ცენტრში მოეწყო შემაჯამებელი გამოფენა;
- ❖ ა(ა)იპ სტუდია „ასტეროიდი“ - „კავკასიური ცარცის წრე“ ეთნიკურ უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების (ილიაუნის სტუდენტები) მონაწილეობით შედგა კონცერტ-სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე“;
- ❖ ა(ა)იპ „კონტაქტი“ - „შემოქმედებითი საგანმანათლებლო კურსები საქართველოს რეგიონებში“ - პროექტი მიზნად ისახავდა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებისთვის ერთ თვიანი შემოქმედებით-საგანმანათლებლო კურსების ორგანიზებას. ჩამოყალიბდა 2 ჯგუფი (I ჯგუფი - V კლასიდან VIII კლასის ჩათვლით მოსწავლეები, II ჯგუფი IX-კლასიდან XI კლასის ჩათვლით). პირველი ჯგუფის მოსწავლეებმა იმუშავეს წიგნის „საქართველოს თანამედროვე ისტორიების ილუსტრირებული კრებულის“ ვიზუალიზაციაზე, მეორე ჯგუფის მოსწავლეებმა კი ყოველთვიური ჟურნალის გამოცემაზე;
- ❖ ა(ა)იპ „საქართველოს კულტურის აკადემია“ - „ეთნომრავალფეროვნების ტრადიციები და მხატვრული ტრანსფორმაციები“ - პროექტი ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კულტურის თვალსაჩინო ელემენტების დეკორატიულ-მხატვრული ნამუშევრების, აქსესუარების, ინტერიერის დეტალების, სუვენირების შექმნას და მათ გამოფენას თბილისში, ბაკურიანში, ქარელში, ახალციხესა და ბორჯომში. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შენობაში გამოფენასთან ერთად გაიმართა ფოლკლორული კონცერტი, გამოიცა კატალოგი/ბუკლეტი;

- ❖ ასურული ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნინეია“ - „უბველესი ასურული ტრადიციები“ - მოეწყო ასურული ენის სადამო. წარმოდგენილი იქნა ასურული ტრადიციული კერძები, კოსტიუმების, ასევე ასურელი მხატვარ-დიზაინერის რიტა ელდაევას გამოფენა.
- ❖ ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკა“ - „მშვიდობის გზავნილები ნიქოზიდან“ - პროექტი მიზნად ისახავდა გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობისთვის გამოფენის მოწყობას კულტურული ღონისძიების ჩატარებას ქართველი და ოსი ხელოვანების მონაწილეობით, მოეწყო ქართულ-ოსური კერძების დეგუსტაცია;
- ❖ სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის პროექტის „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები-ტრადიციის შენარჩუნება“ ფარგლებში მოეწყო გამოფენა;
- ❖ დაიბეჭდა წიგნი „ვაინახური ზღაპრები“, რომელშიც წარმოჩენილია ვაინახთა ტრადიციები და ეთნოკულტურა;
- ❖ განხორციელდა პროექტი „მრავალფეროვანი საქართველო“, რომელიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას ისახავს მიზნად. ღონისძიებები ჩატარდა ბოლნისში, მარნეულში, ახალციხეში, ახალქალაქში, გარდაბანში, პანკისში. განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი სალექციო კურსები, თანამედროვე და ფოლკლორული მუსიკის სადამოები, შეხვედრები მწერლებთან და გამომცემლებთან, სამინისტროს ხელშეწყობით გამოცემული საიუბილეო კრებულებისა და თარგმანების პრეზენტაციები, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსული მხატვრების და ფოტოხელოვანების ნამუშევრების გამოფენები, ბოლო დროის საუკეთესო მხატვრული და ანიმაციური ფილმების ჩვენება.
აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში 2017 წლის 15 და 16 მაისს ქ. ახალციხეში და ვარძიაში განხორციელდა შოთა რუსთაველის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა რუსთველოლოგებმა, მეცნიერებმა და ხელოვანებმა. ღონისძიებებს დაესწრო 3500-მდე ახალგაზრდა.
- ❖ პანკისის სახლხო დღესასწაულისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღეს სსიპ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ერისიონი“, მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.
- ❖ სსიპ „ჩრდილების სახელმწიფო თეატრმა - ბუდრუგანა აფხაზეთი“ ახმეტის რაიონის სოფელ დუისის კულტურის ცენტრში გამართა სპექტაკლი „წელიწადის ოთხი დრო“;
 - 2017 წლის სამინისტროს მიერ მომზადდა და გამოიცა გურამ ბათიაშვილის წიგნი „სახეები და სიტუაციები“, რომელიც მწერლის მიერ თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებას, განვილილ თუ მიმდინარე თეატრალურ პროცესებს ასახავს;
 - მომზადდა და გამოიცა გამოჩენილი სომეხი მხატვრის ალ. ბაჟბუქ-მელიქოვის მოღვაწეობის ამსახველი ალბომი სახელწოდებით „ბაჟბუქის ქარიზმა“;

- სსიპ თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმის მიერ გამოიცა ალბომი „მულტიკულტურული თბილისის სიმბოლო - კოკა იგნატოვი“;
- გამოიცა ალბომი „ქსოვილები საქართველოდან“, რომელიც ქართული ქსოვილის, სამოსის ესთეტიკურ ღირებულებებს, სხვადასხვა კულტურების ზეგავლენას და მულტიკულტურულ სივრცეში ყოფითი და შემოქმედებითი კულტურის განვითარებას უკავშირდება.